

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2 1 8 1

ქ. ბათუმი, 25 მაისი 2018 წ

„ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. №33-ში პარკირების ორგანიზების უფლების შპს „აქტივ ბათუმი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 აპრილის №1600 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2018 წლის 24 მაისის №MIA 5 18 01221311 (№16545/25, 24.05.2018წ) წერილით მომართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარმა სამმართველომ, სადაც აღნიშნავს, რომ საზაფხულო ტურისტული სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, მოსაწესრიგებელია ქ. ბათუმის ზოგიერთ ქუჩაზე არსებული მდგომარეობა. კერძოდ, ნ. ბარათაშვილისა და მ. აბაშიძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სასტუმრო „პრინცესა“-სთან შექმნილი მდგომარეობა, სადაც ტროტუარის ნაწილი შემოღობილია და დაკავებულია მაგიდებით, ხოლო ტროტუარზე მოწყობილ შემადღებულ ადგილზე დგას ავტომანქანა. გარდა ამისა, ბარათაშვილის ქუჩის მხრიდან განთავსებულ ბომზე არსებული საინფორმაციო დაფა მძღოლებს აცნობებს, რომ აღნიშნულ ადგილზე დგომა შეუძლიათ მხოლოდ სასტუმროს კუთვნილ ავტომანქანებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე აჭარის მთავარი სამმართველო მოგვმართავს თხოვნით აღნიშნულ გზაჯვარედინზე ქვეითთა და სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ინტენსივობიდან გამომდინარე, ტროტუარის გათავისუფლებას, ავტომანქანების დგომის აკრძალვას და მძღოლებისათვის შეჩერების ნების მიცემას მხოლოდ მგზავრების გადმოსხდომის მიზნით.

„ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. №33-ში პარკირების ორგანიზების უფლების შპს „აქტივ ბათუმი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 აპრილის №1600 ბრძანება ითვალისწინებდა შპს „აქტივ ბათუმი“-სათვის ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. №33-ში, სასტუმრო WYNDHAM BATUMI და სამორინე PRINCESS BATUMI-ს შენობის წინ (ბარათაშვილის ქუჩის მხრიდან) ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემას, რის თაობაზეც მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო შესაბამისი ხელშეკრულება. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 აპრილის №1600 ბრძანების გამოცემიდან დღემდე, მხარეთა შორის არ არის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. №33-ში პარკირების ორგანიზების უფლების შპს „აქტივ ბათუმი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 აპრილის №1600 ბრძანება.

2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს შპს „აქტივ ბათუმს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 445384753).

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი